

6. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის, როგორც სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტასთან და საკავშირო სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის საკავშირო შსს საჯარისო ნაწილების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით და მისი სტაბილიზაციისათვის აუცილებელი ზომების ოპერატიულად მიღების მიზნით, შეიქმნას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭო.

2. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცოს აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭოს დებულება.

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 6 მარტი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)